ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დიდის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990 სამშაბათი 11 სექტემბერი №109 (10346) ფასი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

## აირჩიეთ ეროვნული კონგრესი!

ვიდრე საქართველო სრულ დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებს, ქართველი ხალხი ვერ დაეყრდნობა პარლამენტს, თუნდაც კარგს, ახლადარჩეულს, რადგან იგი, რაგინდ მრავალპარტიულობის პირობებშიც არ უნდა აირჩეს, არსებული კონსტიტუციის ფარგლებში მაინც კოლონიური მმართველობის ფორმას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ქართველ ხალხს გააჩნდეს ბოლომდე ნდობით აღჭურვილი, საკუთარ მისწრაფებათა უშუალოდ გამომხატველი რაიმე ორგანო; ასეთად მიჩნეულ იქნა ეროვნული კონგრესი, როგორც მას პირობითად უწოდეს. თავისი არსით იგი მორალურად ყველაზე გამართლებული ფორმაა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

როგორც ეროვნული კონგრესის იდეის მომხრენი აღნიშნავენ, რეალური ძალაუფლება არც კონგრესს და არც საქართველოს უზენაეს საბჭოს ექნება, ამდენად, ცხადია კონგრესს არ ექნება პრეტენზია ხელისუფლებაზე.

აგრეთვე ფიქრი იმაზე, რომ კონგრესი კონფრონტაციას გამოიწვევს პარლამენტთან, ნაკლებ საშიშად გვეჩვენება. კონგრესის პარლამენტთან ურთიერთობის განმსაზღვრელი დებულებები რომლის მკაცრად დაცვა თითოეულ კონგრესმენს მოუწევს, თავიდან აგვაცილებს ამ საშიშროებას. უფრო მეტიც, კონგრესმა ფართოდ უნდა ითანამშრომლოს პარლამენტთან, განსაკუთრებით იმისათვის, რათა იმპერიამ თავს არ მოგვახვიოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება.

ეროვნული კონგრესის არსის და მისი აუცილებლობის შესახებ განმარტებულია არაერთ პუბლიკაციასა და სატელევიზიო გადაცემებში.

გვინდა შევნიშნოთ რომ ზოგიერთთა შიში იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხი ორჯერ არ მივა საარჩევნო ყუთებთან (30 სექტემბერი—ეროვნული კონგრესის არჩევნები, 28 ოქტომბერი—უზენაესი საბჭოს არჩევნები), არ მიგვაჩნია გამართლებულად. თუ ქართველი ხალხი შეიგნებს, და ამის დიდი იმედიც გვაქვს, რომ დღევანდელ ეტაპზე როგორც უზენაესი საბჭოს, ასევე კონგრესის არჩევა ქართველი ხალხის მომავლისათვის აუცილებელია, ჭეშმარიტი პატრიოტი ორჯერაც და მეტჯერაც მივა საარჩევნო ყუთთან.

იმედია, ჩვენი ქალაქისა და რაიონის მცხოვრებლებიც გაითავისებენ ამ აუცილებლობას და 30 სექტემბერს ხმას მისცემენ ეროვნულ კონგრესს.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი.

ეროვნულ - დემოკრატიული პარტია—მე-4 დასის ზუგდიდის კომიტეტი.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება.

## დიდი ჩაისათვის ლაშქრობა მოგებულია!

მიმდინარე სეზონში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს რაიონის მეჩაიე მშრომლებმა, გადამამუშავებელი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა. 10 სექტემბრისათვის წარმატებით შესრულდა ნაკისრი დავალება. 62.500 ტონის მაგიერ მრეწველობას ჩაბარდა 63.030 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

წელს, სხვა სეზონთან განსხვავებით განსაკუთრებული მზრუნველობით გამოირჩეოდნენ მეჩაიეები: გრიფეთ ყოველდღე და ყოველგვარ ამინდში, ავამაღლოთ ნედლეულის ხარისხის დონე.

ფინიშის სწორზე პირველები გავიდნენ ახალსოფლის, ახალკახათის, ახალაბასთუმნის კოლმეურნეობები.

აღნიშვნის ღირსია ჩარაზენის, კახათის, ორჯონიკიძის, ახალსოფლის, ზუგდიდის № 1 და № 2, ინგირის ჩაის ფაბრიკების, მიკრო ფაბრიკების წვლილი ნედლეულის მიღება-გადამუშავების საქმეში.

დიდი სერიოზულობით მოეკიდნენ ნედლეულის ტრანსპორტირების საქმეს ზუგდიდის №2638 ავტოსატრანსპორტო და ავტოსატრანსპორტო საწარმოს გაერთიანების კოლექტივები.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის იჯარულ და არენდულ ფორმაზე გადასვლამ ერთი-ორად გაზარდა პასუხისმგებლობა, ფასების რეგულირებამაც იქონია დადებითი ზეგავლენა.

იზრდება ზუგდიდელ მეჩაიე მშრომელთა დაინტერესება ქართული ჩაის ღირსების ამაღლების საქმეში.

...ხეა. მოკრეფილ ნედლეულში დაცულია ხარისხის პროცენტული მაჩვენებლები.

შრომის ფრონტზე გამარჯვებას გილოცავთ მწვანე პლანტაციის მშრომელებო!

მადლობა თქვენ!

ალექსანდრე საჯაიას ხსოვნის დღეები

## „პოეზიის ოცნება მარად უმნვანესი“

ალექსანდრე საჯაიას შემოქმედება თავისი ქვეყნის უმდიდრესი კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ეყრდნობა, მაგრამ ამასთანავე მეტად ნაყოფიერი ნოვატორული ძიებებით არის მონიშნული.

პოეტი თავის ლექსებში ზუსტი სიტყვებით, მოკლე მონახაზებით, მკვეთრი მოქმედებებით ხსნის ლირიკული გმირის შინაგან სამყაროს. მის პოეზიაში უკელაფერი ნათელია—ნაწილების ურთიერთთანაფარდობა, სიუჟეტის, იდეის და თემის ორგანული ნათესაობა. ყოველი ეპიზოდის დანიშნულებაა ემსახუროს საერთო ჩანაფიქრს. აქ სიტყვის გრძნობა მკაცრად არის გამომუშავებული და თვისებად ქცეული. ალექსანდრე საჯაიას ინდივიდუალობის განვითარება, განსაკუთრებით სიტყვასთან მისი დამოკიდებულება — ღვლარჭნილობისა და შეცდომების გვერდის აქცევას ნიშნავს. იგი ყოველთვის მეტყველებს ცოცხალი, ხატოვანი ენით და სიტყვას დიდ მოთხოვნას უყენებს.

ალექსანდრე საჯაიასათვის სიტყვა პირველქმნილი ფენომენია, რომელიც თითქოსდა ფიზიოლოგიურად ცოცხლობს. ენის, სიტყვის შესახებ პოეტის შეხედულების ერთ-ერთ ნიშანდობლივ გამოვლენად მიგვაჩნია, ვთქვათ, ეს სტრიქონებიც ლექსიდან „მშობლიური კერა“: „სიტყვაც, ბინდით დაფარული, მძულს სამშობლოს სიყვარულით გალაღებულ ქართველს“.

ალექსანდრე საჯაიას პოეზია ლირიკული შთაგონების გარდა, მხატვრულ გონებას და კრიტიკულ მსჯელობასაც ეფუძნება. მისი პოეზია ამავე დროს ალსარებითიცაა. ამ აღსარებას კი მხატვრული შემოქმედების ანგარიშგასაწევი ძალა გააჩნია.

ჩვენი არასრული ეტიუდის დაბოლოებისას ვეცდებით გაგიზიაროთ კიდევ ერთი მოსაზრება. პოეტის გონებაში აზრი „ემოციური ველის“ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მკითხველთა გონებაშიც შესაბამის „ემოციურ ველს“ წარმოშობს. პოეტის გონებაში სიტყვა წინასწარ არის მომარჯვებული იმისათვის, რომ შესაბამისი „ემოციური ველი“ გადმოსცეს. აქედან გამომდინარე, ალექსანდრე საჯაიას პოეზიის უპირველესი სიკეთე გახლავთ ის, რომ ყოველ სწორად მომართულ მგრძნობელობაში მისი მეშვეობით ხელახლა წარმოიშობა გარკვეული გონებრივი აქტის ორგანული მთლიანობა, რასაც ადამიანი ჩვეულებრივ პირობებში მოკლებულია. ალექსანდრე საჯაიას სახით, ისეთ პოეტთან გვაქვს საქმე, რომელიც ღრმად და ხანგრძლივად ჩაფიქრებულა ცხოვრების გარდუვალ საიდუმლოებებზე და არასოდეს უცდია ისეთი პასუხის მიცემა, რომლის მიმართაც მისი არსების ერთი კუნჭული მაინც უტყვი დარჩებოდა. ალბათ, ამ გარემოებამ ათქმევინა პოეტს შემდეგი სიტყვები: „მზე მთის საფარს ეფარება, ეზოს მწუხრი ეპარება, და ჩრდილები ხეთა ფერად ნისლში იძირება, აივნიდან იმზირება მოწყენილი დედა“.

ამგვარად, ალექსანდრე საჯაიას პოეზიის ფორმის, შინაარსის ბგერისა და აზრის მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ გვაგრძნობინოს სიტყვისა და აზრის ინტიმური კავშირი. მან განავითარა პოეზიაში ინტელექტუალური ძალისხმევის აუცილებლობის პრინციპი, რითაც აამაღლა მკითხველის პასუხისმგებლობის გრძნობა პოეტის წინაშე. უნდა ითქვას, რომ მას შეეძლო ისე უბრალოდ, უშმაკოდ გადაეშალა გული თავის ლექსებში, რომ გამორიცხული ყოფილიყო ბრჭყვიალა სიტყვაკაზმულობა თუ ხელოვნური სირთულით თავმოწონების სურვილი. ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი კი განაპირობებს იდეალურობას მიახლოებული პოეტის ტიპს, რომელიც არც თუ ისე მრავლად გვხვდება ჩვენს რეალურ ყოფაში.

ნ. გულორდავა,

საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების კონსულტანტი.

### ქალაქ ზუგდიდის მასწავლებელთა საყურადღებოდ!

მასწავლებელთა კონფერენცია ...ლება მიმდინარე წლის 12 სექტემბერს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში.

დასაწყისი 11 საათზე.

ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილება.

### საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისაგან, სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1926 წლიდან ერმინე ანდრიას ძე წყაროზია და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### ე. ა. წყაროზიას დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

შეიქმნას ე. ა. წყაროზიას დამკრძალავი კომისია მ. ვ. ბოკუჩავას (თავმჯდომარე) ... ა. წურწუმიას, ნ. ნ. ... ბ. უ. ესართიას მ, ლ. ღოჩიას, შ. ა. ლემონჯავას, ე. კ. თოდუას შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ექსპერიმენტალური სკოლა — სასწავლო წლის დაწყების წინ

**როგორც ვიუწყებოდით, ზუგდიდში მე-3 საშუალო სკოლის შენობაში ფუნქციონირებას იწყებს ექსპერიმენტული სკოლა, სადაც სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდან. სასწავლო წლის დაწყების წინ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ სკოლის დირექტორს ვ. ბეჟუაიას:**

**—რა მდგომარეობაშია სკოლის მატერიალური ბაზა?**

—კორპუსს უტარდება რემონტი, ამასთანავე გვექნება ბანკში ანგარიში, იმედი გვაქვს მშობლებისა და ასევე წარმოება-ორგანიზაციათა მხარდაჭერისა. გამოწერილი გვაქვს სათანადო ინვენტარ-მოწყობილობანი, კაბინეტების შევსება მოხდება სისტემატურად. სწავლა ფასიანია. წელიწადში 100-დან 300 მანეთამდე მშობლების ხელფასის გათვალისწინებით. ეკონომიურად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მქონე მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია, ასევე წარჩინებულ მოსწავლეებსაც სახელობითი სტიპენდიები ექნებათ.

მასწავლებლები და მოსწავლეები გაფორმდებიან ხელშეკრულებით. თუ ვერ გაამართლა როგორც მოსწავლემ, ასევე პედაგოგმა, ისინი კვლავ თავიანთ სკოლებს დაუბრუნდებიან. ამისათვის შეიქმნება სპეციალური კომისია სკოლის, საზოგადოებრიობისა და მშობლების წარმომადგენელთა, რესპუბლიკის ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით, ეს კომისია სისტემატურად იმუშავებს. ხელფასები პედაგოგებს კვალიფიკაციის მიხედვით დაენიშნებათ. ეს ხელფასი არ იქნება შემოსაზღვრული. გვექნება საშუალება, კარგ პედაგოგს ძლიერ მაღალი ხელფასი დავუნიშნოთ.

**—რაში მდგომარეობს საგნების გაძლიერებული სწავლება?**

—სკოლაში გარდა იმისა, რომ იქნება სპეციალური საგნების გაძლიერებული სწავლება, პედკოლექტივი უპირველესად იზრუნებს მოსწავლეთა ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისა და გაძლიერებისათვის, იმისათვის, რათა ისინი ნამდვილ პატრიოტებად, ერისკაცებად გაიზარდონ. პედაგოგებად მოწვეული გვყავს სამი მეცნიერებათა კანდიდატი, აგრეთვე ქალაქში ცნობილი პედაგოგები. ვაპირებთ საზღვარგარეთის სკოლებთან გაცვლით მუშაობას. განსაკუთრებული მონაცემების მოსწავლეებს მივავლენთ უცხოეთის სასწავლებლებში, სტიპენდიას სკოლა დაუნიშნავს.

ვზრუნავთ ახალი შენობისათვის, რომლის მშენებლობა მომავალი წლიდან დაიწყება.

სკოლაში რუსულ ენას მიეცემა უცხო ენის სტატუსი და შეისწავლება როგორც უცხო ენა.

**—როგორ დაკომპლექტდა კლასები?**

—წელს გვეყოლება მე-9-დან მე-11 კლასის ჩათვლით. თითო კლასში 15 მოსწავლე იქნება. უკვე თითქმის გვყავს საჭირო კონტინგენტი. საბუთების მიღება კვლავ გრძელდება, თუ საჭიროებამ მოითხოვა, კონტინგენტს გავზრდით.

—სკოლაში სისტემატურად წაიკითხავენ ლექციებს როგორც საგნობრივ, ისე ზოგად თემებზე გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, კულტურისა და სხვა სფეროს მუშაკები.

ცხადია, გვყავს კარგი სპეციალისტები, მაგრამ იმ საუკეთესო სპეციალისტებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ჩვენთან მუშაობისა, მივიღებთ, შემდეგ მოხდება შერჩევა.

ესაუბრა ჟ. ტაბაღუა.

# მათ იციან წიგნის ფასი

ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში უჩვეულო განწყობილება სუფევს. აქ თავს იყრის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია დღევანდელი ცხოვრებით და იცის წიგნის ფასი.

„მკითხველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა გასულ წლებთან შედარებით. განსაკუთრებით ხალხმრავალია დარბაზი, სადაც თავმოყრილია პერიოდული პრესა. ჩვენ ამას კანონზომიერად ვთვლით, სხვაგვარად ვერც წარმოგვიდგენია. ეს არის ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალება, რათა მკითხველს მიეცეს შესაძლებლობა გაერკვიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, აიმაღლოს კულტურული, ინტელექტუალური დონე",—ამბობს მეთოდური განყოფილების გამგე ზანანა გვარამია. მაგრამ არანაკლები ინტერესი წიგნსაცავი ფონდისადმი. ბიბლიოთეკას ჰყავს სისტემატური მკითხველები, რომლებიც აქტიურად სარგებლობენ აბონემენტებით. აი, ისინიც: თამაზ ბელქანია, ნინი ძიძიგური, კოტე ჰილაია, ემა ბუხტაროვა და სხვები.

თამაზ ბელქანია ექიმ — პედიატრია. იგი ხშირი სტუმარია როგორც დარბაზის, ისე წიგნსაცავი ფონდისა. თამაზი ყურადღებით ეცნობა ახალგამოსულ წიგნთა უმრავლესობას—და შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიოთეკის სიახლეთა პირველი გამზიარებელია. ნინი ძიძიგური ქალაქის მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგია. გულისხმიერსა და განათლებულს თანაბრად აინტერესებს როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო ლიტერატურა. მუდმივ მკითხველად ითვლება ჟურნალისტი კოტე ჰილაიაც. იგი ბავშვობიდანვე დაკავშირებულია ამ ბიბლიოთეკასთან და დღემდე არ შეუწყვეტია ურთიერთობა.

ბიბლიოთეკის ერთ-ერთი თანამშრომლის კლარა [illegible] თქმით, ზემოთ დასახელებულნი საუკეთესო მკითხველებად ითვლებიან.

დარბაზში, წყნარ კუთხეში უჩუმრად ზიან ხანდაზმულები და ახალგაზრდები, ეცნობიან პრესას, მათთვის საინტერესო ნაწარმოებებს..

„თითქოს საგანგებოდ გენიდან გენში გადადისო ბიბლიოთეკისადმი ლტოლვა,—ამბობს მისი გამგე ქეთინო ჯოლია,—აი, ამ წყნარ კუთხეში მორიდებით იჯდა აწგანსვენებული პედაგოგი ორესტი ქირია, შემდგომ შეენაცვლა მისი ვაჟიშვილი პედაგოგი ჯუანშერი, დღეს კი ტრადიციას ჯუანშერის ვაჟიშვილი იურისტი ბესიკ ქირია აგრძელებს...

საოცარია სტუდენტების დამოკიდებულება წიგნთსაცავის გამგისადმი, რომელსაც დეიდა ლუბას ეძახიან. მის ხელში გაიზარდა ბოლო ორი თაობა. ყველა მათგანი დღეს ჩინებული სპეციალისტია.

ბიბლიოთეკაში სიწყნარეს ხანდახან ახალგაზრდები წაიჩურჩულებენ. ისინი სტუდენტები არიან: მაია ქოჩუა, ჯინა ესართია, გელა კვაშილავა...

იმრავლოს ასეთმა მკითხველებმა, რამეთუ მათ მომავალში შეუძლიათ დიდი და კარგი საქმეების კეთება.

**რუსიკო მიქენაია,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი

# მოითხოვს უსწრაფეს რეაგირებას

**საზოგადოების ფართო ფენები საკმაოდ ინფორმირებული საქართველოში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური ვითარების შესახებ. ცხადია, ვერც ჩვენი რეგიონის ტერიტორიაა უფრო სახარბიელო მდგომარეობაში.**

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაცია ცდილობს თავისი სიტყვა თქვას გარემოს ეკოლოგიური გაჯანსაღების საქმეში, წინ აღუდგეს მის [illegible] და გაჩანაგებას.**

**ამჯერად მოსახლეობის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ მეტად საჭირბოროტო პრობლემაზე, რომელიც დიდი ხანია მოგვარებას საჭიროებს. საკითხი ეხება ქ. ზუგდიდის ნაგავსაყრელის ეკოლოგიურად დასაშვები ადგილმდებარეობის გამოძებნის პრობლემას, რომელიც, როგორც ცნობილია, ამჟამად ს. ცაცხვში მდებარეობს.**

**როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, ნაგავსაყრელმა ახლომდებარე სოფლებში გამოიწვია მწერთა დიდი რაოდენობით მომრავლება, მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება სხვადასხვა ნარჩენებით. ამის გამო სოფლის მოსახლეობა მოითხოვს ნაგავსაყრელის გაუქმებას.**

**ჩვენი აზრით, პრობლემა მოითხოვს უსწრაფეს რეაგირებას.**

**ძირითადად საკითხის გადაწყვეტის ორი გზა არსებობს. პირველი—უნდა შეირჩეს ნაგავსაყრელისათვის უფრო მისაღები ადგილი (ამასთანავე, ცხადია იგი არ უნდა იყოს მდინარის ახლომახლო, ასევე დაშორებული იყოს გრუნტის წყლებისგან). მეორე—არსებული ნაგავსაყრელი მკვიდრად შემოიფარგლოს დამცავი ღობით, რათა არ მოხდეს ნარჩენების გაბნევა ახლო მიდამოებში, დაწესდეს „სათანადო სამსახური და მკაცრი კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს მის სისტემატურ დეზინფექციას, სხვა მავნე ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანას.**

**მწვანეები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოპტიმალური ვარიანტის გამონახვას ვცდილობთ, რაც შეუძლებელი იქნება, თუ არ იქნა გათვალისწინებული ზუგდიდისა და მისი შემოგარენის მცხოვრებთა აზრი.**

**გთხოვთ, აღნიშნული საკითხის თაობაზე მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები და მოსაზრებები, აქტიურად ითანამშრომლოთ ჩვენთან ხსენებული პრობლემის მოგვარებისათვის.**

**ველით თქვენს გამოხმაურებას!**

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაცია**

### პოზიცია

# სიტყვა კოლეგებსა და სხვებს

დემოკრატიისა და საჯაროობის პროცესი ბუნებრივი ცხოვრების წესით არის განპირობებული. იგი მხოლოდ დაწყების სტადიაშია და ამ დასაწყისმა მრავალი გაუგებრობა და უთანხმოება წარმოშვა. ჩვენ ამ ისტორიული პროცესისათვის მოუმზადებელნი აღმოვჩნდით, ვინაიდან ჩვენ არ გვესმის სიტყვა „დემოკრატიის" არსი. ზოგმა ეს ყველაფრის კეთების ნებართვად მიიღო, ზოგმა კი თავისი პირად ზრახვათა განხორციელების უებარ შანსად...

ახლა საჭიროა ახალი აზროვნება და ახლებურად ცხოვრების აგება.

ორგანოს მუშაკების დრო არასოდეს არ არის ნორმირებული. მილიციის გული გაუტეხა ტელეფონის აპარატებით მიღებული ბრძანებებით დამნაშავეთა განთავისუფლებამ. გაფერმკრთალდა მილიციის მონაკვლევი მასალების ხარისხი.

ალბათ ყველას ახსოვს, რომ გასულ წლებში ქალაქ ზუგდიდში ტარდებოდა რეიდები საქართველოს შინაგან საქმეთა განყოფილებიდან მოვლინებულ თანამშრომლებთან ერთად. ჩვენ მოსახლეობის კარდაკარ დავდიოდით, ერთგან, ერთ მოსახლეს ჰიშკართან დაყრილი ღორღის გამო აქტი შევუდგინეთ და მას შვიდმა კაცმა მოვაწერეთ ხელი, ხოლო ღორღი—როგორც უკანონოდ შეძენილი საშენებლო მასალა—დაუქვემდებარდა ჩამორთმევას. მეორეს ფიცრის სარანდავი დაზგა ჩამოვართვით და დიდი შინამრეწველი „კაპიტალისტი" დავარქვით...

ახლა მეორე, არც ისე შორეული ამბავი: „ზემოდან" ბრძანების მიხედვით ყოველ უბნის რწმუნებულს პარტიის ზუგდიდის ქალაქკომის შენობის მშენებლობაზე, იძულებითი წესით, უნდა მიეყვანა ხუთ-ხუთი ხელოსანი. პირდაპირ სახლებში ვაკავებდით ხალხს და მიგვყავდა სამუშაოდ. მერე მოვიდა მეორე ბრძანება, რომ ყოველ უბნის რწმუნებულს უმუშევრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ხუთ-ხუთი კაცი. ახლა ვინ უნდა დაგვეპატიმრებინა? ისევ ისინი, ვინც ქალაქკომის მშენებლობაზე ძალით ვამუშავეთ...

ყოველივე ამას ხალხი ხედავდა, ჩვენს ბრალად აქცევდა და ზურგს უკან ქოქოლას გვაყრიდა. ახლა კი, როცა ხალხს მიეცა მართლა დემოკრატიული სიტყვის უფლება—პირში გვეუბნება. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ იგი ჩვენი მშობელი ხალხია და შვილის საქციელის განსჯის უფლება მას ყოველთვის აქვს.

ნურავის ნუ ჰგონია, რომ ჩვენი ამას წინანდელი აქციის (გაფიცვის) მიზანი იყო და არის კანონების გამკაცრება და განვლილი გზისკენ უკან მიხედვა. არა, კანონის გამკაცრება დემოკრატიის გზით მიმავალი საზოგადოების მიმართ შეუძლებელია—ეს ჩვენთვის ნამდვილად გასაგებია. ჩვენ მოვითხოვთ ხალხის ფართო მასების მხარდაჭერას ამის შემდეგ კი, მერწმუნეთ გზა გადაეკეტება ყოველივე მანკიერსა და სიბოროტეს. ჩვენ, მილიციის მუშაკებმა, ხალხში უნდა ვეძებოთ საყრდენი წერტილები. ჩვენს შორის ხიდი გაიბზარა, თორემ ხიდი ჩატეხილი არ არის. უნდა გამრთელდეს იგი.

არსებობს გონიერი ანდაზა:—„წადი მეფესთან, თუ მეფემ არ მიგიღო წადი ხალხთან, თუ ხალხმა არ მიგიღო—ჩადი ზღვაში"... ხალხია მხოლოდ უცდომელი მსაჯული. და მაინც, როდის გამრთელდება ის ბზარი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი? ეს ბზარი გამრთელდება მაშინ, როდესაც სრულიად შეიცვლება ცენტრის ბუნება, როდესაც ხალხი შეგნებულად არ დაფარავს სისხლის სამართლის დამნაშავეს, როდესაც მილიცია გაიწმინდება მომავალი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი ადამიანებისაგან და შესრულდება ყველა ის მოთხოვნა, რაც გაფიცვის მიმდინარეობისას ზუგდიდელმა მილიციის მუშაკებმა წაუყენეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

გ. ოკუჯავა,
მილიციის მაიორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარდაქმნის საკვანძო პრობლემა: სოფლის ეკონომიკის ახლებური მართვა

ახლა სოფლად ცხარე სამუშაო დღეებია. შემოდგომის დადგომა ახალ საზრუნავს მოუმატა მშრომელ კაცს.

მიმდინარე მომენტით ნაკარნახევ პირველი რიგის ამოცანებზე და მათი ხორცშესხმის გზებზე გვესაუბრა ინგირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. ქარჩავა.

# მთავარი მაინც დაინტერესების ფაქტორია

— პირველ რიგში ჩაის წარმოების შუქ-ჩრდილებზე მოგვიყევით, როგორი მაჩვენებლებით გადიხართ ფინიშის სწორზე?

— ჩაის წარმოების წლიური გეგმა ათი სექტემბრისათვის შევასრულეთ. მთელი სეზონის მანძილზე მონდომებით იმუშავეს და სახელმწიფო დავალების შესრულება პირველებმა უპატაკეს იმ მექანიზირებულმა ბრიგადებმა, რომელთაც უძღვებიან: ჯ. ნადარაია, შ. გაბესკირია, ჯ. ჩიქობავა. გარკვეული არარიტმულობა ამ ფრონტზე განაპირობა საწვავის დეფიციტმა, რამაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედა ალებული ნედლეულის ხარისხზე, მაგრამ სამწუხაროდ არც მხოლოდ ეგაა მიზეზი. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული დამოკიდებულება თუ არ ლაიძლიბ, მომავალ, თავისუფალ საქართველოს ვერაფერს ვარგებთ. სხვას რომ თავი გავანებოთ, ასეთი ექსპლოატაციით ეს კულტურა დასაღუპავად არის განწირული. ჩვენ, ინგირელები ვფიქრობთ ჩაის უშუალო მწარმოებელი მისი მფლობელიც გავხადოთ. იგი ასე უფრო იზრუნებს ჩაის მომავალი ბედისათვის, მისი კონკურენტ-უნარიანობის ამაღლებისათვის. ქართული ჩაის პრესტიჟის ამაღლება მსოფლიო ბაზარზე ისევ ქართველი კაცის ხელებით უნდა გადაწყდეს.

—რას გვეტყოდით მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების დინამიკაზე, ახერხებთ თუ არა იმ მყარი მარაგის შექმნას, რამაც მოახლოებულ ზამთარში მშვიდი ძილის საშუალება უნდა მოგცეთ?

— მშვიდი ძილისთვის დრო და პირობები დღევანდელ სოფელში ნაკლებად რჩება. მთავარი აქცენტი გადატანილია ადგილობრივი იაფი საკვები ბაზის შექმნაზე. საკვებმომპოვებელთა საიჯარო ბრიგადის შექმნით ძირეულად გავააქტიურეთ მშრომელი კაცის ეკონომიკური დაინტერესების ბერკეტი. დღევანდელი საწვავის დეფიციტისა და მცირემიწიანობის პირობებში სერიოზული სიძნელეები გვეღობება. ფაქტიურად კოლხეთის დაბალი ზონიდან ვეზიდებით საკვებ რესურსებს. გამოსავალს ვხედავთ ადგილობრივი მოსახლეობისათვის იჯარის საფუძველზე კულტურული საძოვრების გადაცემაში. რაც შეეხება მოქმედ ფერმას, მიწის რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, არენდული ბერკეტის გააქტიურებით ვეცდებით მისი ეფექტიანობის ამაღლებას.

—უკვე არავინ არ ხდის საიდუმლოდ, რომ სოფლის აღორძინება მის ეკონომიკაში ახალი სტრუქტურების გაბედულად დანერგვას უკავშირდება. რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენთან?

ქმედით ზომებს ვატარებთ პირადი დამხმარე მეურნეობების, იჯარული რგოლების დამკვიდრებისათვის. ეს ის გზაა, რომლითაც გლეხკაცი თავის პირვანდელ, გენეტიკურ ძირებს უბრუნდება, მიწის ბატონ-პატრონის გრძნობას ინარჩუნებს.

არენდული პრინციპი დავნერგეთ ჩაის მექანიზირებული კრეფის სექტორში, ეფექტური შედეგები აქვთ ზემოთ ჩამოთვლილ ბრიგადებს. ამავე მეთოდზეა გადაყვანილი ერთწლიანი კულტურების წარმოება. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება მესიმინდეების: ვარლამ თოდუას, თენგიზ ქარჩავას, გენადი ქარჩავას და სხვების მაგალითები.

სასოფლო წარმოების სამომავლო გზად გვესახება პირად დაინტერესებაზე დაფუძნებული სტრუქტურებისათვის მაქსიმალური თავისუფლების მინიჭება. ამ მიმართულებით სოფლის აქტივი ამუშავებს პროგრესულ სქემებს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

— ამ რამდენიმე წლის წინათ თქვენი სოფელი რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი იყო სოფლის კულტურული იერსახის სრულყოფის სფეროში გაწეული საქმიანობით. რა ვითარებაა ახლა. შაშინდელი პრიზი დარჩა როგორც რელიქვია, თუ გაქვზ ებთ ამ მხრივ მუშაობის გააქტიურებისათვის?

— დღეს ინგირში არ არის დარჩენილი ქუჩა, მოასფალტებული არ იყოს.

მიმდინარეობს ელექტროგაყვანილობის ქსელის მთლიანი რეკონსტრუქცია. იქვეთება თვით მოსახლეთა დაინტერესება. მაგალითად, თირემეს და „სოფლქიმიის" უბნები მათივე ინიციატივით კეთილმოეწყო. ერთი სული გვაქვს მოკლე ხანებში რეალობად ვაქციოთ დიდი ხნის ჩანაფიქრი: თირემეს უბანში მოქმედი ბუნებრივი წყაროები დეკორატიულად კეთილმოვაწყოთ.

პერსპექტივაში ისახება კიდევ ერთი კეთილი საქმე: რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე გავხსნით მიკრობაზარს. ამ ობიექტის ხარჯთაღრიცხვა შედგენილია და მისი ხორცშესხმა მალე დაიწყება.

მიუხედავად ამ კუთხით ყურადღების გამახვილებისა, ჯერ კიდევ რიგი ეკოლოგიური საკითხები მოუგვარებელი გვრჩება. ოპერატიულად გადაწყვეტას ითხოვს „სოფლქიმიის" გაერთიანებისა და ნევთობაზის ტერიტორიის სანიტარული დამუშავების პრობლემა.

— მოსავლის აღებისათვის მზადების კამპანია თავის მხრივ წინ წამოსწევს რიგ სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემებს. რა სიძნელეების ფონზე გიწევთ მუშაობა და როგორ ძლევთ მათ?

— კონკრეტული დავალებები მიეცა ყველა იმ სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებიც პასუხს აგებენ მშრომელთა ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. მომარაგების მხრივ არსებული სიძნელეების ფონზე ერთგვარად ვახერხებთ შედარებით სტაბილური ვითარების შენარჩუნებას. მშრომელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გაზით, სატელეფონო კავშირით მომსახურებაში, აგრეთვე „ცეკავშირის" სასურსათო მაღაზიის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამო. მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა თანდათან სწორდება.

— „ღმერთო, უმრავლე მამულს აკვნები", — დღეს ამ ნატვრის გარეშე ჭეშმარიტი ქართველი არ არსებობს. საინტერესოა, გავიგოთ, თუ როგორ აღიქვამს ამ დევიზს ინგირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე?

გ. კაკულია: — საქართველოს დემოგრაფიული გაჯანსაღების საქმეში მოკრძალებული წვლილი ჩვენმა სასოფლო საბჭომაც შეიტანა. მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში გარკვეული თანხა გადაირიცხა. წელულს დემოგრაფიული საზოგადოების ზუგდიდის სადროშოს ჩვენგან გადაერიცხება ათას მანეთამდე თანხა. პირადად გახლავართ აღნიშნული სადროშოს პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე. ამჟამად მიმდინარეობს ამ ფონდის ფორმირება. თუმცა ამ მხრივ ადგილობრივი საბჭო დღემდე ხელფეხ შებორკილია. გადაწყვეტილი გვაქვს ხორცი შევასხათ სასოფლო საბჭოს თვითდაფინანსებაზე გადასვლის საკუთარ მოდელს, რომელიც ჭარბი შემოსავლების უფრო მიზნობრივად გახარჯვის საშუალებას მოგვცემს. რაც შეეხება კოლმეურნეობის პოზიციას, ამ კუთხით მათ მიერ დასახული ღონისძიებების პროგრამა უფრო შთამბეჭდავია. მრავალშვილიანი და ახალშექმნილი ოჯახებისათვის შემუშავებულია სტიმულირების ქმედითი სისტემა. ახალგაზრდა ოჯახებს გამოეყო მიწის ნაკვეთები, მიეცა სესხი, ასეთები არიან: გიორგი და მიმოზა კვიტატიანები, ჯამბული და ნაზი ლაგვილავები, ნუგზარ და ლუიზა ჩქოფოიები და სხვები.

სოფლის ღონეს და ღირსებას წარმოადგენენ ლუდუკი ქარჩავას, ტოგო ყალიჩავას, ჯველიდი ქადარიას, ჯემალ ღურწკაიას, ამირან ოთხოზორიას, გივი მელიას და სხვათა ოჯახები. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რათა ჩვენი სოფელი ახალი, აღორძინებული საქართველოს ჯანმრთელი ნაწილი იყოს.

მორალის თემაზე

# ღია წერილი დედას

მიჭირს შენთან საუბარი, ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, რადგან იქნებ მსგავს მდგომარეობაში მყოფს გულზე მოხვდეს ჩემი სიტყვები და ჩააფიქროს, იქნებ ჩემმა ამბავმა იხსნას თუნდაც ერთი პატარა უდედოდ დარჩენისაგან.

დავიბადე 1970 წელს, შენ კი მიმატოვე ერთი თვისა, რადგან „ახალი ცხოვრება" გინდოდა, ახალი ოჯახი შექმენი, მე კი უპატრონო ბავშვთა სახლს მიმაბარე. მე-8 კლასში ვიყავი, რომ მილიციის დახმარებით მოგაკვლიე, მაგრამ დედობრივი სითბოს ძომლოდინემ შენგან მხოლოდ ცივი უარყოფა მივიღე, „თავი დამანებე. ხომ ხედავ არ მინდიხარ"! „დედა, მიპატრონე" — შეგეხვეწე, „არა" — მომახალე, თურქული ქურქი მოიხურე, ლიფტის კარები გაალე და ქუჩაში გამომაცილე გაცრეცილი სასკოლო ფორმით კაბა მეცვა, ბათუმში ცივი თებერვალი იდგა, თოვდა... „რისთვის გამაჩინე დედა?" — შეგეკითხე, —„ნუთუ მხოლოდ შენი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის?"

მერე მამას მივაკითხე — მასაც არ მივიღე.

ხელო... [illegible] დავამთავრე. მერე ტექნიკუმი. მიჭირდა, ორმაგად მტანჯავდა ის ამბავი, რომ მშობლები ცოცხალი მყავდა და მათგან უარყოფილი ვიყავი. ქირით ვცხოვრობდი, წარჩინებული სწავლის სტიპენდიით — 70 მანეთით ვირჩენდი თავს. შენ შავი ვოლგით მოსკოვის, ტაშკენტის, ალმა-ატის ტრასებს სერავდი, ბულგარეთსა და ისრაელში მოგზაურობაც არ დაგიკლია, მე კი 9 აპრილის სისხლიან ღამეს თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში „სიესით" მოწამლული დედას ვუხმობდი. დედა კი ჩემთვის არ იყო.

თავიდანვე მარტოობისთვის განწირულს არაფერმა არ გამიმართლა. საუბედუროდ, ვერც მეუღლე გახდა ჩემი სამუდამო მეგობარი, მაგრამ სულით მაინც არ დავეცი. სადაც ვმუშაობდი, ნაცნობებში, თანამშრომლებში მხოლოდ სიკეთეს ვთესავდი.

უპატრონო ბავშვთა სახლსაც ხშირად ვაკითხავ. განსაკუთრებით შემომჩვია ერთი აღსაზრდელი — პატარა გია, ისიც კი მითხრა ხომ შეიძლება დედა დაგიძახოო — გული ჩამწყდა, ისიც ჩემს ბედში მყოფი, დედამ სხვა ცხოვრებაზე გაცვალა. ვერაფერი ვუპასუხე, თუმც კარგად ვგრძნობდი, მისი დედა ვერ ვიქნებოდი.

არ ვიცი, ხვალ როგორი დილა გათენდება ჩემთვის, მაგრამ ვიცი, რომ შვილის ღალატი და მიტოვება არ შეიძლება. ყველაზე მეტად სამჯერ გამიჭირდა ჩემს ცხოვრებაში. პირველად, როცა გეპოვე და კარი მომიხურე, მეორედ, როცა ტექნიკუმში ჩავირიცხე და ჩემი სიხარული ვერავის გავუზიარე, მესამედ, როცა პატარა გიამ მკითხა —„იქნები ჩემი დედა?"

გავა დრო, დრო მკაცრად განგვსჯის, მაშინ ვერაფრით თავს ვერ გაიმართლებ. მე კი მაინც დედად გთვლი. 37 წლის გახდები მალე. მაინც გილოცავ დაბადების თარიღს!

სიხაური ჯაფარიძე.

რედაქციისაგან. გარკვეული მოსაზრების გამო მორალის თემაზე დაწერილი პუბლიკაციები მეტწილ შემთხვევაში გამოგონილი გვარებით ქვეყნდება.

ამჯერად სხვა შემთხვევასთან გვქონდა საქმე. თინათინ ჯაფარიძე კატეგორიულად მოითხოვდა დედის გვარის, სახელისა და ადგილსამყოფელის დასახელებას, დედისა, რომელმაც ხელი ჰკრა ქალიშვილს მაშინ, როცა მას ყველაზე უფრო მეტად სჭირდებოდა იგი. სახელის გამჟღავნებას მოითხოვდა [illegible], რომ, თინათინის დედა, რომელიც ამჟამად რესპუბლიკის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობს ქმარშვილთან ერთად, წარმოშობით ზუგდიდელია.

მაგრამ ჩვენი დაჟინებული თხოვნის შედეგად იგი დაგვთანხმდა, რომ დედის ვინაობა კვლავ საიდუმლოდ დარჩენილიყო. არადა, ქალბატონი, რომელიც არ იკლებს არაფერს ამქვეყნიურ სიამეს, ხოლო ქალიშვილი კი [illegible] ლი, ნამდვილად იმსახურებს მხილებას. იქნებ ამ დათმობამ მაინც ჩაახედოს გულში იგი და მოუბრუნდეს გული შვილისკენ.

გვჯერა მკითხველი სწორ შეფასებას მისცემს დედის მოქმედებას, აგრეთვე, იმასაც, სწორად მოიქცა თუ არა თინათინი, როცა დედის ვინაობა საბოლოოდ სააშკარაოზე არ გამოიტანა.

ველით თქვენს წერილებს, შეგობრებო!

## საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების ზუგდიდის საქალაქო და რაიონული კომისიის შემადგენლობა

1. ახალაია როლანდ ლუდუკის ძე — თავმჯდომარე (ექიმთა ასოციაციისაგან).
2. ვეკუა დაზმირ პალიკოს ძე — მოადგილე (ინგურქაღალდკომბინატის კოლექტივისაგან),
3. ბეჟვაია ზურაბ ჟორჟის ძე — მდივანი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან),
4. კვარაცხელია გურამ იასონის ძე — (რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივისაგან),
5. ძიმისტარიშვილი ბესიკი ჭიჭიკოს ძე — ხაზინადარი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან),
6. ფონია მურმან დავითის ძე — (ექიმთა ასოციაციისაგან),
7. ბიჭია თამაზ მიხეილის ძე — (ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისაგან),
8. თოლორაია ბესიკ ჭიჭიკოს ძე — (საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისაგან),
9. ქობალია გია გიორგის ძე — (ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისაგან),
10. გვაძაბია გიორგი სერგოს ძე — (საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისაგან),
11. ცანავა დაზმირ დანიელის ძე — (ი. ქ. კ. მედსანწილისაგან),

კომისიის ადგილსამყოფელი რაიონის კულტურის სახლი.

რეპლიკა

## „კოღო საშიში მწერია"...

რამდენიმე წლის წინ, მახსოვს, რა განგაში ატყდებოდა ხოლმე კოღოს გამოჩენისას, ღონისძიებებს სასწრაფოდ ატარებდნენ შესაბამისი სამსახურები, ხახამ უკანასკნელ მწერს ბოლოს არ მოუღებდნენ.

ახლა? ნურას უკაცრავად, ისე გვიტევს ეს მწერი, სამალავს ვეძებთ და ვერ გვიპოვია. სანეპიდსადგურის წყალობით სად არ ნახავთ მას, ბინებსა თუ დაწესებულებებში, საავადმყოფოებსა თუ სხვაგან. ერთი სიტყვით, კოღომ აგვიძლო, პატრონი ვინ არის, გვწოვს და გვწოვს სისხლს, თითქოს ეს ჩვენი სხეული მისი მამა-პაპის მონაგარი იყოს.

შეწუხებულმა სანეპიდსადგურს მივმართე, იქ „დამამშვიდეს"—არაფერია, ეს ის კოღო არ არის „ანოფელესად" წოდებული, მალარიას არ აჩენსო.

ვითომ რამე შეღავათია, რომ მალარიას არ აჩენს, თითქოს მისი ნაკბენი არ გეწვოდეს ან ყურში შეუჩერებლად არ გიწიოდეს?

რახან „ანოფელესი" არ არის, უნდა იტაროს თამამად, ან შესაბამისი სამსახურის მუშაკები არ წუხდებიან თვითონ, ნუთუ ისე აქვთ კანი გასქელებული, რომ კოღოს ხორთუმი შიგ ვერ ატანს?

მოგმართავთ შესაბამის სამსახურებს, ვისაც ევალება მწერებთან ბრძოლა, ან მათი გასანადგურებელი წამალი გვიპოვეთ ან „კანის გასასქელებელი" ხერხი გვასწავლეთ.

სხვაგვარად თავი როგორ დავიცვათ?!

**ხ. კუკავა,**
ზუგდიდის თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

## სიმინდის ულვაში სამკურნალოა

როგორც ცნობილია, საქართველოში სამკურნალო მცენარეთა დამზადებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ამიტომ საალთიაქო ქსელი ხელმოკლედაა მომარაგებული სამკურნალო მცენარეებით.

საჭიროა მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამკურნალო მცენარეთა ნედლეულის დამზადებაში და ჩააბაროს ის საალთიაქო ობიექტებს.

დადგა სიმინდის ულვაშის შეგროვების პერიოდი. მას ამზადებენ ივლის-სექტემბერში. რძიანი სიმწიფის დროს სიმინდის ტაროს ხელით ან დანით აცლიან ულვაშს (ფრიმულს). არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჰყვეს გაშავებული ნაწილები. ამ ულვაშს 10-სანტიმეტრი სისქით აწყობენ ქაღალდზე ან ქსოვილზე და აშრობენ სხვენზე ან ფარდულებში. კარგ ამინდში ის შრება 4-5 დღის განმავლობაში (ულვაში ადვილად უნდა იმტვრეოდეს). გამშრალ ნედლეულს ინახავენ ტომრებში ან გოფრირებულ ქაღალდის ყუთებში მშრალ ადგილას. შენახვის ვადა —3 წელი. სასყიდი ფასი ერთი კილოგრამი 3 მანეთი.

სიმინდის ულვაში, შეიცავს: ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს, საპონინებს, მწარე გლიკოზიდებს ვიტამინ „C" და „K"-ს, სიტოსტეროლს, კალციუმს და კალიუმს, გლუკოზას, მალტოზას და სხვა ნივთიერებებს, ამიტომ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება.

სიმინდის ულვაშის ნახარშს, ნაყენს და ექსტრაქტს აქვს ნაღველმდენი, შარდმდენი და მსუბუქად გამოხატული ანთების საწინააღმდეგო თვისებები, ადიდებს სისხლში პროტრომბინის რაოდენობას და აჩქარებს სისხლის შედედებას, უკლებს ჰამის მადას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას და ამიტომ იყენებენ: ხოლეცისტიტის, ხოლანგიტის, ჰეპატიტის და ათეროსკლეროზის სამკურნალოდ, ცხვირიდან და საშვილოსნოდან სისხლდენების შესაჩერებლად, სიმსუქნის საპროფილაქტიკოდ და სხვა.

გამოყენების წესი: ნაყენის დასამზადებლად — 1). იღებენ 10 გრამ დაწვრილმანებულ ულვაშს და ასხამენ ერთ ჭიქა ცივ წყალს, ხარშავენ ნელ ცეცხლზე 30 წუთი, დახურული მინის ან ემალის ჭურჭელში. გაწურულ ნახარშს სვამენ ყოველ 3 საათში — 1-3 სუფრის კოვზს. 2). 2 სუფრის კოვზს დაწვრილმანებული სიმინდის ულვაშს ყრიან 500 გრამ წყალში და ხარშავენ 3 წუთი. ტოვებენ 2 საათი და შემდეგ წურავენ. ღებულობენ ღვინის ჭიქით 3-4 ჯერ ჭამის წინ.

**დ. პაპასკირი.**
პროვიზორი.

## ჯადოსნური ხელების ენერგია

ბოლო წლებში საქართველოში ბევრია ექსტრასენსების, მაგრამ მათ შორის ძალიან ბევრია ხელმოცარული, რომლებიც ამაოდ ცდილობენ მკურნალის სახელის მოპოვებას. ამიტომაც ჩვენ არ ავჩქარებულვართ ახალგაზრდა ბიოგენზე მალხაზ ჩხეიძეზე წერილის მომზადებისას.

ახალგაზრდა მალხაზ ჩხეიძეს სრულიად მოულოდნელად დაუდგინდა ეს ფენომენი. რამდენიმე წელია მას გაუარესებული ჰქონდა ჯანმრთელობის მდგომარეობა — აწუხებდა თირკმლების მწვავე ტკივილები, გრძნობდა ჰაერის უკმარისობას, სისუსტეს, ხშირად ეცვლებოდა ხელისა და ფეხის გულების ტემპერატურა. მერე გაირკვა, რომ მას კავშირის მასშტაბით ერთ-ერთს ჭარბად ჰქონდა ეს მონაცემები. ძლიერმა ბიოდენებმა განსაზღვრეს კიდევაც მისი არჩევანი. მოსკოვში ჯუნა დავითაშვილთან ორთვიანი და თბილისში უკონტაქტო ბიომასაჟის მეთოდიკის დაუფლების შემდეგ დაიწყო. კიდევაც მკურნალობა. დღეს მას მადლიერი პაციენტები არ აკლია.

ეთიკის თვალსაზრისით ჩვენ არ ვასახელებთ იმ პაციენტთა ვინაობას, რომლებიც მალხაზის ჯადოსნური ხელების საშუალებით დღეისათვის თავს მშვენივრად გრძნობენ და დიდად ემადლიერებიან მას, თუმცა ამის დამამტკიცებელი საბუთი მადლობის წიგნია და ყოველ დილით მისი სამუშაო ოთახის წინ შემდგარი საკმაოდ გრძელი რიგი.

მალხაზ ჩხეიძე ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლეა (მე-11 კლასი), თუმცა ახალგაზრდა მკურნალი ჭაბუკი სიდარბაისლითა და ადამიანებთან ურთიერთობის სითბოთი არ ჩამოუვარდება მასზე უფრო ასაკოვან ადამიანებს. წარმოშობით ხობის რაიონ სოფ. ახალი ხიბულიდან ბრძანდება, დღეისათვის ის ჩვენს ქალაქში ცხოვრობს.

ეს წერილი სარეკლამოდ არ დაწერილა, მალხაზ ჩხეიძეს რეკლამა არ სჭირდება. ის, ნაწვიმარზე ახლადამოსულ სოკოებივით მომრავლებულ ექსტრასენსებს როდი ჰგავს, რომლებიც გასამრჯელოსთვის ყველაფერს კადრულობენ... მას გასამრჯელო არ სჭირდება, მისი გასამრჯელო გამოჯანმრთელებული პაციენტების სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე მადლობაა.

კიდევ ბევრის დაწერა შეიძლება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მალხაზ ჩხეიძე ნამდვი ექსტრასენსია, შეუძლია ადამიანი განკურნოს ისეთი დაავადებებისაგან, როგორიცაა გულის დაავადებები — თითქმის ყველა სახის; წყლულოვანი დაავადებები; ალერგიული დაავადებები; თავის ქალას წნევა, თირკმლების მწვავე ტკივილები, პატარაობისას (ბავშვობისას) სმენისა და მხედველობის დაქვეითება, პროსტატა, ჰაიმორიტი და სხვ. ის პაციენტებს ღებულობს ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში (ფიზიოლოგიური განყოფილება) დღის პირველ ნახევარში.

**გოგი ნაჭყებია,**
თსუ-ს სოხუმის ფილიალის სტუდენტი.

რედაქტორი
**აკ. ჭანტურია.**

---

**ზუგდიდის №108 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს**

**მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის არასრულ საშუალო სკოლადამთავრებულთათვის ორი და სამწლიანი სწავლების ვადით შემდეგ პროფესიებში:**

**1. ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე (რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ ზეინკალ-შემკეთებლისა და ავტომანქანის მძღოლის სამუშაოები).**

**2. მეფრინველეობის ფაბრიკისა და მექანიზირებული ფერმის ოპერატორი**

**საშუალო სკოლადამთავრებულთათვის კი ერთწლიანი სწავლების ვადით შემდეგ პროფესიებში:**

**1. ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტი.**

**2. ელექტროაირშემდუღებელი (ავტომანქანის მართვის უფლებით)**

**3. სასურსათო საქონლის გამყიდველი.**

**4. ავტომანქანის მძღოლი (5 თვე).**

სასწავლებელში ჩაირიცხებიან 15-დან 30 წლამდე ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები.

სასწავლებელში სწავლა უფასოა, გარდა ამისა, მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით, საერთო საცხოვრებლითა და 10-დან 80 მანეთამდე სტიპენდიით, ასევე საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტით.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაეუფლებიან პროფესიას და მიიღებენ საშუალო განათლებას, მიეცემათ დიპლომი.

კურსდამთავრებულები, რომლებიც სამწლიანი სწავლების ვადით სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინების დიპლომზე, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომელიც დადგენილია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედლით კურსდამთავრებულთათვის, ხოლო ერთწლიანი სწავლების ვადით წარჩინებით დიპლომზე კურსდამთავრებულები სარგებლობენ მედალოსნის უფლებით მხოლოდ პროფილის მიხედვით.

სასწავლებელში სწავლების პერიოდი ჩაითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟად. ყველა კურსდამთავრებულნი სასწავლებელში მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოდ განაწილდებიან რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში.

სასწავლებელში მოქმედებს ფეხბურთის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის და რადიომოყვარულთა წრეები. ჩამოყალიბებულია აგრეთვე საესტრადო ანსამბლი, სასწავლებელს გააჩნია სასწავლო მეურნეობა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნო.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება სკოლიდან, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №286 ან 086 უ), 6 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს სასურველია ჰქონდეთ სავზურები კოლმეურნეობებიდან ან საბჭოთა მეურნეობებიდან. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. განცხადებები მიიღება 15 სექტემბრამდე ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

**ჩვენი მისამართია:** სოფ. ოქტომბერი.

---

დედა ფლორა, მამა ვანიჩკა, დები ნონა, ნინო, ბებია ბაბუცა გეგეჭკორი, სიძე გია კვარაცხელია, დისშვილები ანა, ალიკა, დეიდები: დოდო, კუკა გეგეჭკორები, ბიძები: ილიკო სხულუხია, ბიჭიკო, დაფენტი, ლევტერი ჭანიები, ბაძიდა მარუსია ჭანია, დეიდაშვილები: დათო გაბედავა, გოჩა, ხანი, ნონა სხულუხიები, თამაზი კოდუა, ზონდო კუტალია იუწყებიან

**ნანა ვანიჩკას ასული ჭანიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი: 12, 13, 14 სექტემბერს, დაკრძალვა 15 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ჩიტაძის ქ. № 21-დან 15 საათზე.

---

მეუღლე მიმოზა, დები: მერი, ლამარა, გოგონა, სულიკო, ძმები: კოლია, ალიოშა, გრიშა, სიდერი ლია გელენავა, რძლები: ნანი თორდია, არმინდა ფარჯიკია, ზაირა ქუთელია, ნუნუ გოგოხია, ძმისშვილები: ვალერი, ნიკო, ზურაბი, ასლანა, ელიკო, ასმათი, ანა, დისშვილები: მალხაზი, მამუკა, დარეჯანი, დარიკო, რუსიკო, კესო, სიძე გურამი პაპავა, ქვისლები: კაკო, გონელი გელენავები იუწყებიან

**ლადიკო (შოთა) ტრიფონ ძე წურწუმიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 12, სექტემბერს, დაკრძალვა 13 სექტემბერს. გამოსვენება მოსაშვილის ქ. № 9-დან.

---

მეუღლე ჯუმბერი, დედა ნაირა, მამა ზაური, შვილები სოფიკო, რუსიკო, თამუნა, დები ლარისა, ხათუნა, მაკა, ლიკა, ძმები ვეფხვია, გაბრო, სიძე გიმზერ კვამილავა, ბიძები, მამიდები, დეიდები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მანანა ზაურის ასულ ქარცხიას**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 11 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება გორგასალის ქ. 7-დან. (ი. ქ. კ.).

---

ქ. ზუგდიდის № 7 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ამავე სკოლის კურსდამთავრებულის

**ნანა ვანიჩკას ასულ ჭანიას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ციალა, დედა კლარა, შვილები: მერაბი, ძელისი, მეველუდი, ზვიადი, შორენა, ინგა, ირმა, ლექსო, და ტაისა ძმები: ტიტიკო მესხი, კოტე კვიტატიანი, ავილიშვილები: გოგა, ლანა, სოფიკო, ლამა, სალომე, სიმამრი: აპოლონ მალიჩავა. ბიძები კოლია, ბიქტორი კვიტატიანები, მამიდები: ნინა, საშა ნადია. დეიდა: ლენა ქარჩავა, ბიცოლები: მავრა, ქეთო. რძლები: ნათელა, დინა, მზისა, ლელა. სიძე: ჯინჯერი ბიგვავა, კობა კოდუა. ახლო ნათესავები იუწყებიან:

**გულადი გერმანეს ძე კვიტატიანის**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 12, 13, 14 სექტემბერს, დაკრძალვა 15 სექტემბერს, ინგირში (ოირემე).

---

მეუღლე ნუცა, შვილები ლამარა, ფელიქსი, შვილიშვილები ასმათი, ონისე, მაია, ძმისშვილები გრიშიკო, პარმენი წყაროზიები, დისშვილები ბოჩო, ვანიჩკა, გივი კაკულიები, რძალი რუსიკო ფაცაცია, სიძეები პაატა ადამია, მამუკა წირღვავა, მძახალი გრიგოლ შედანია, შვილთაშვილები ნია წყაროზია, ნინო, ნიკუშა ადამიები, მარიკა წირღავა, ფახლონის ნათესავები იუწყებიან

**ერმინე ანდრიას ძე წყაროზიას**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 13 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება სოხუმის ქ. № 75-დან.

---

დედა იუსტინე, შვილი რევაზი, ძმისშვილი ლალი პატარაია, ბიძა ილიკო არჩაია. სიძე როლანდი ოდუა, რძლები ლენა წურწუმია, ფიდოსია ჯიქია, თინა კვარაცხელია, მაზლები ლეონტი, აკაკი სოსელიები. მული ვარვარა, მაზლიშვილები, გურამი, თენგიზი. ნუგზარი, ანზორი, სოსო, მამუკა, ითერი, ლინა, თალიკო, ლეილა. მაია სოსელიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**შურა ხპირიდონის ასულ საზოკია-სოსელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12. 13. 14 სექტემბერს დაკრძალვა 15 სექტემბერს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ოდიშის ქ. № 41-დან 17 საათზე.

---

И Н Д Е К С 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. № 4004.